საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-623

31/07/2018

ქ. თბილისი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფელ მოლითში, სს „საქართველოს რკინიგზა“-ს „თბილისი-მახინჯაურის მთავარი სარკინიგზო მაგისტრალის მოდერნიზაცია - სადგურ „მოლითსა“ და მე-8 გვირაბის დასავლეთ პორტალს შორის არსებული მონაკვეთის პროექტში შეტანილი ცვლილებების“ პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით სამინისტროში სს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ წარმოდგენილია ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფელ მოლითში, „თბილისი-მახინჯაურის მთავარი სარკინიგზო მაგისტრალის მოდერნიზაცია - სადგურ „მოლითსა“ და მე-8 გვირაბის დასავლეთ პორტალს შორის არსებული მონაკვეთის პროექტში შეტანილი ცვლილებების“ პროექტის სკოპინგის ანგარიში.

სამინისტრომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 და მე-9 მუხლების შესაბამისად უზრუნველყო სკოპინგის ანგარიშზე ადმინისტრაციული წარმოების განხორციელება და სკოპინგის ანგარიშის განხილვა.

აღნიშნულ პროექტზე გაცემულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2014 წლის 5 მარტის N11 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (მინისტრის ბრძანება N0-133; 07.03.2014).

სკოპინგის ანგარიშის თანახმად შესწავლილ იქნა საპროექტო ტერიტორია. ჩატარებული სამუშაოების შედეგად მოხდა გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროების, სახეებისა და ობიექტების იდენტიფიცირება.

სკოპინგის პროცედურის შედეგად განსაზღვრული და დადგენილი იქნა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ს ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი და გზშ-ს პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების ასახვის საშუალებები.

აღნიშნულ სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით, 2018 წლის 2 ივლისს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ მოლითის ადმინისტრაციულ შენობაში გამართულ საჯარო განხილვაზე გამოითქვა მოსაზრებები სოფ.მოლითის რკინიგზის სადგურის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით (როგორც მოსახლეობის მხრიდან აღინიშნა მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი), მდ. ჩხერიმელას ავტომანქანების რეცხვით გამოწვეული დაბინძურებისა და ასევე სოფ. მოლითის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების მძიმე ტექნიკით დაზიანებების შესახებ. სოფელ მოლითის წარმომადგენელის მიერ აღინიშნა, რომ რამდენადაც მისთვის

ცნობილი იყო, აღნიშნული საკითხები მწვავე პრობლემად დგას მოსახლეობისათვის, თუმცა როგორც განხილვაზე გამოიკვეთა სოფელ მოლითის არსებული რკინიგზის გადატანა/რესტავრაციის საკითხი არ არის დაზუსტებული, შესაბამისად სკოპინგის ანგარიშში მოცემული არ არის აღნიშნული ინფორმაცია. შესაბამისად საქმიანობის განმახორციელებელს სკოპინგის დასკვნაში განესაზღვრა აღნიშნული საკითხის დაზუსტება, ასევე იმ შემთხვევაში, თუ არსებული რკინიგზის სადგური წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს დაცული უნდა იქნას „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზონები და სამშენებლო სამუშაოები არ უნდა განხორციელდეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან შეთანხმების გარეშე.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის II დანართის მე-3 პუნქტის 3.4 ქვეპუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" (07.12.2017 #1620-რს) საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფელ მოლითში ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფელ მოლითში, „თბილისი-მახინჯაურის მთავარი სარკინიგზო მაგისტრალის მოდერნიზაცია - სადგურ „მოლითსა“ და მე-8 გვირაბის დასავლეთ პორტალს შორის არსებული მონაკვეთის პროექტში შეტანილი ცვლილებების“ პროექტზე სკოპინგის დასკვნა N22; (20.07.2018 წ.);
2. სს „საქართველოს რკინიგზა“-მ სავალდებულოა გზშ-ს ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N22; (20.07.2018 წ.) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „საქართველოს რკინიგზა“-ს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „საქართველოს რკინიგზა“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი